ოქმი N6

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 7 მარტი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 13

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 13

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერ ჯობავა
2. ვასილ კუკავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ლაშა ცატავა
7. მალხაზ ლაგვილავა
8. თენგიზ აბაკელია

მოწვევით: ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ზაზა ბუკია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელი შემოსულია წინადადებით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის მიზნით, მისი წინადადების საფუძველზე გამოიცემა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 4 მარტის N03/506 წერილის განხილვა („სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ვ. ქაჯაიას 2016 წლის 7 მარტის N04/507 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების

შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 7 მარტის N05/512 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 4 მარტის N03/506 წერილის განხილვა („სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: გ. სიჭინავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის მოცულობა შეადგენს 848311,00 ლარს, ხოლო „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N254 დადგენილებით განისაზღვრა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი

საკრებულოს მხრიდან, დასახლებების მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ". გამომსვლელის განცხადებთ, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები

აზრი გამოთქვეს: მ. ლაგვილავა - გამომსვლელი დაინტერესდა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებისთვის თანხები, რის მიხედვით იქნა გადანაწილებული?

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ თუ სოფელში 200-ზე მეტი მოსახლე ცხოვრობს, ამ სოფლისთვის 2,0 ათასი ლარია გაანგარიშებული, თუ 200-დან 400-მდე ცხოვრობს მაშინ 5,0 ათას ლარამდე და ა.შ., ეს რაოდენობა განსაზღვრულია შესაბამისი სამართლებრივი აქტით, რითაც იხელმძღვანელა მუნიციპალიტეტის გამგეობამ თანხების გადანაწილების დროს.

მ. ლაგვილავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ რატომ ხდება ისე, რომ თავის სოფელში (პირველი მაისი) წინა წელთან შედარებით თანხა ბევრად ნაკლებია გამოყოფილი.

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ბიუროს წევრს არასწორი ინფორმაცია გააჩნდა, რადგანაც აღნიშნულ სოფელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებისთვის წინა წელთან შედარებით უფრო მეტი თანხა აქვს გამოყოფილი.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 7 მარტის N04/507 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ)

კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება სხვადასხვა სახის ცვლილებები, კერძოდ: გაიზარდა ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტის შემოსავლები 518,5 ათასი ლარით მუხლიდან „გრანტები“ (რგფ). მცირდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები 448,3 ათასი ლარით, კერძოდ: 432,4 ათასი ლარით ქვეპროგრამის „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,კოლხეთის" ხელშეწყობის ღონისძიებები“ ასიგნება, ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის“ სუბსიდია, 15,9 ათასი ლარით ქვეპროგრამის ,,ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა“ ასიგნება. გამონთავისუფლებული 448,3 ათასი ლარი და გრანტებიდან მიღებული 518,5 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,,კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი 01 00) ასიგნებებზე 448,3 ათასი ლარი; პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის (პროგრამული კოდი 03 00) ასიგნებებზე 518,5 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა შეადგენს 9585,2 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები.

აზრი გამოთქვეს: **მ. ლაგვილავა** - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ რა ბედი ეწეოდა უახლოეს წარსულში საფეხბურთო კლუბ „კოლხეთისთვის“ მიერთებულ საფეხბურთო სკოლის დაფინანსებას

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა გაუმარტა, რომ საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“ მთლიანად გადადის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დაქვემდებარებაში, ეს ხდება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 თებერვლის N107 დადგენილების საფუძველზე. გამომდინარე აქედან არავითარი პრობლემა არ ექმნება საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებს.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 7 მარტის N05/512 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: გ. სიჭინავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს ქ. ხობში სტალინის ქ. N6-ში მდებარე შენობა-ნაგებობა, რომლის პირველ სართულზე განთავსებული იყო ა(ა)იპი „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ სასადილო და სადაც ხორციელდებოდა უმწეოთა კვებით უზრუნველყოფა, ხოლო მისი ლიკვიდაციის შემდეგ, ამ მომსახურების შესყიდვა ხორციელდება ტენდერის საშუალებით. ადგილობრივ ბიუჯეტში თანხის მობილიზების მიზნით გამგეობას მიზანშეწონილად მიაჩნია ამ შენობა-ნაგებობის 100 კვ.მ ფართის გაიჯარება, ზემო აღნიშნული მომსახურების მიმწოდებელზე. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის

მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა